საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის (შემდგომში - პროექტი) - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ – პირველი კომპონენტის (ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრაცია პროფესიულ განათლებაში) ფარგლებში, **საპილოტე პროგრამების დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კოორდინატორის თანამდებობაზე:**

კონკურსი ცხადდება 24 თებერვლიდან და განცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 01 მარტის ჩათვლით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„საპილოტე პროგრამების დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კოორდინატორი“.**

წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა - 1;

საპილოტე პროგრამების დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კოორდინატორის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი - სოციალური ან განათლების მეცნიერებების მიმართულებით, უპირატესობა მიენიჭება პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ფსიქოლოგიის დარგში/სპეციალობაში;
ბ) განათლების კვლევებისა და შეფასებების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
გ) სასწავლო პროგრამების განვითარების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება;
დ) კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების გამოცდილება განათლების სფეროში;
ე) კვლევითი ანგარიშების შექმნის გამოცდილება;
ვ) სტატისტიკური პაკეტის SPSS-ის ცოდნა;
ზ) თვისებრივი მონაცემების საანალიზო პაკეტის Nvivo-ს ცოდნა.

<u>აღნიშნული მოთხოვნები (სამუშაო გამოცდილება და ცოდნა) უნდა დასტურდებოდეს თქვენ მიერ ქართულ ენაზე წარმოდგენილ ავტობიოგრაფიაში (CV).</u>

საპილოტე პროგრამების დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) საპილოტე პროგრამების დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დაგეგმვა და შესრულების კონტროლი;

ბ) მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება, სამუშაო პროცესში მონაწილეობა და ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობა;
გ) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა საპილოტე პროგრამის დანერგვის პროცესში;
დ) მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვების, გამოკითხვისა და ინტერვიუს პროცესის დაგეგმვა, საველე სამუშაოების განხორციელებისა და შესრულების მონიტორინგი;
ე) მონიტორინგის მონაცემებისთვის შექმნილი მატერიალური და ელექტრონული ბაზების შემოწმება და მათი გამართულობის დადგენა;
ვ) მონიტორინგის მონაცემების თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი;
ზ) მონიტორინგის შედეგების ამსახველი ანგარიშების შექმნა;
თ) მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით საპილოტე პროგრამის შეფასება და პროგრამის განვითარების სარეკომენდაციო პაკეტის შექმნა;
ი) მონიტორინგის პროცესისა და სამუშაო ჯგუფის ფუნქციონირების ამსახველი კვარტალური ანგარიშების მომზადება და პასუხისმგებელ პირებთან გაგზავნა.

საპილოტე პროგრამების დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კოორდინატორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) აზრის გამართულად ჩამოყალიბება;
ბ) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;
გ) სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაცია;
დ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
ე) დროის მართვა.

კონკურსის შედეგად საპილოტე პროგრამების დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კოორდინატორის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება პირველი მარტიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განხორციელდება 4 ეტაპად. პირველ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1100 (ერთი ათას ასი) ლარის ოდენობით, მეორე ეტაპზე 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, მესამე ეტაპზე 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით და მეოთხე ეტაპზე 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადაგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ვებგვერდის - www.cv.ge მეშვეობით, ელექტრონულ ფოსტაზე - info@eqe.ge - აუცილებლად უნდა გამოაგზავნონ:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.